



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 3- 4 ივნისი, 2025

დასკვნის წარდგენის თარიღი: **18.07.2025**

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების ტიპი | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ევანგელოს ცილიგირისი (ნოტინჰემ ტრენტის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მია ჩქოტუა - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ირმა მესირიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ფხაკაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ალავეძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|---|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დონე 7 | დონე 6 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | განათლების მაგისტრი | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას. |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით | 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება | | <ul style="list-style-type: none"> ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); |

| | | |
|---|-----------------|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); • ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური); • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; • სპორტი; • გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); • ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური). |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 300 | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | N99, 08/08/2018 | N2, 17/03/2016 |

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წინამდებარე გარე შეფასება ეხება ორ განსხვავებულ, თუმცა ლოგიკურად დაკავშირებულ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერს, რომელიც წარმოადგინა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტმა. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები შექმნილია, რომ დააკმაყოფილოს საქართველოს განათლების სისტემის ძირითადი საჭიროებები, კვალიფიციური და კომპეტენტური პროფესიონალი პედაგოგების მომზადებით. ორივე პროგრამა განკუთვნილია დეტალურ სფეროს: 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებია:

- 1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:** ეს არის 300 კრედიტიანი ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამამ პირველად აკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 8 აგვისტოს და მისი ძირითადი მიზანია დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადება. ამ პროგრამის მთავარი ძლიერი მხარეა მისი მოქნილობა, ვინაიდან იგი სტუდენტებს სთავაზობს ორ განსხვავებულ არჩევით მოდულს: ერთი მოდული იძლევა V-VI კლასებში ორი საგნის სწავლების უფლებას, ხოლო მეორე ანიჭებს სპეციალური განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციას. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები ფლობდნენ მრავალმხრივ და მოთხოვნად უნარებს.
- 2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** ეს არის 60 კრედიტიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს. პროგრამამ პირველად აკრედიტაცია გაიარა 2016 წლის 17 მარტს; პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც უკვე აქვთ ბაკალავრის ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი. ის ხორციელდება ორი ფორმატით: როგორც დამოუკიდებელი, ერთწლიანი პროგრამა ან არსებულ საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებული ფორმით, ხუთი სემესტრის განმავლობაში. ეს პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვა დარგის სპეციალისტებისთვისაც, რათა მოემზადონ მასწავლებლის პროფესიისთვის; შრომის ბაზარზე საგნობრივი მასწავლებლების რაოდენობა მცირეა და პროგრამა ცდილობს შეავსოს ეს დეფიციტი, განათლების როგორც საბაზისო, ასევე საშუალო საფეხურებზე.

ადგილზე ვიზიტისა და ყველა წარმოდგენილი დოკუმენტის განხილვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კლასტერი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიასთან. აღნიშნული პროგრამებზე ირიცხებიან სტუდენტები საკმარისი რაოდენობით; მათ აქვთ კარგი აკადემიური მიღწევები; პროგრამები გამოირჩევა ძლიერი პრაქტიკული კომპონენტით და პროგრამის განხორციელებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. ორ პროგრამას შორის ურთიერთკავშირი ნათელია: ერთი პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე, იწყება პედაგოგების, როგორც სამუშაო ძალის, მომზადება, ხოლო მეორე პროგრამა მნიშვნელოვანია პროფესიული გადამზადებისთვის; ორივე პროგრამა ერთად რეგიონისთვის მნიშვნელოვანია და ფოკუსირებულია მასწავლებელთა განათლებაზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი შედგა 2025 წლის 3 და 4 ივნისს, სამშაბათს და ოთხშაბათს, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსში, თელავში. ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ხუთი ექსპერტისგან; ვიზიტს ესწრებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2 წარმომადგენელი და 1 თარჯიმანი.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა ყველა დაინტერესებულ მხარეს, რაც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა; შეხვედრა გაიმართა ბიბლიოთეკის პერსონალთანაც; უსდ-მ ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამის სასწავლო რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს: 1) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (დღე 1); 2) თვითშეფასების ჯგუფი (დღე 1); 3) პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი (დღე 1); 4) სტუდენტები და კურსდამთავრებულები; 5) დამსაქმებლები და 6) ხარისხის სამსახური. დადებითი და კონსტრუქციული დისკუსიის ფარგლებში, ყველა მონაწილემ ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

ვიზიტი დასრულდა მოკლე შეხვედრით, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდა შემაჯამებელი ინფორმაცია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ძირითადი ასპექტების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა წინამდებარე პროგრამების კლასტერის შეფასება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტების გამოყენებით ჩაატარა. ქვემოთ მოცემულია პროგრამების ხუთივე სტანდარტთან შესაბამისობის შეჯამება.

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სისტემურად აგებული; ისინი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და საქართველოს განათლების სექტორის სტრატეგიულ საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი იყო თანამშრომლობითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, რამდენიმე მიმართულება საჭიროებს მეტ ყურადღებას. მე-7 დონის, ინტეგრირებული პროგრამის მიზნები, სრულად არ ასახავს კრიტიკულ ანალიზსა და ინოვაციას, რაც ამ დონისთვის არის საჭირო. გარდა ამისა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადასახედა, სილაბუსების ნაწილში მოძველებული ლიტერატურაა მითითებული და საჭიროებს გადახედვას ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, უნდა გადაიხედოს მე-7 დონის ინტეგრირებული პროგრამის მიზნები. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს მე-7 დონის პროგრამის მიზნები, განახლდეს კურსების სასწავლო ლიტერატურა, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეროვნულ ლინგვისტურ სტანდარტებთან შესაბამისობა და ყველა მოქმედი პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამები მეტწილად შეესაბამება სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების სტანდარტებს. მიღების წინაპირობები ძირითადად გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ყველა კრიტერიუმის უფრო ცხადად წარმოდგენა და გასაჯაროება, განსაკუთრებით მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის. კლასტერის მთავარი ძლიერი მხარეა, რომ პროგრამები პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, სკოლაზე დაფუძნებული პრაქტიკის საშუალებით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებულია. თუმცა, სტუდენტების შეფასების სისტემა საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, შეფასების მეთოდები უნდა გახდეს უფრო მრავალფეროვანი და ტრადიციული გამოცდების გარდა, უნდა შეიქმნას თანმიმდევრული და დეტალური შეფასების რუბრიკები. ასევე, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ შეფასებებს, რომლებიც ზომავს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას შეფასებების სანდოობა.

სტანდარტი 3: სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს და ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, შესაბამისი საკონსულტაციო და კარიერული სერვისების უზრუნველყოფით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კარგი ურთიერთობა და ინფორმირებულნი არიან აკადემიური და კლასგარეშე შესაძლებლობების შესახებ. ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამისთვის, სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესი კარგად არის რეგულირებული; სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, ხოლო სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობა შესაბამისია. პროგრამები შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, საკონსულტაციო საათები უნდა იყოს მითითებული ყველა კურსის სილაბუსში, მეტი გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით. ასევე, ექსპერტთა რჩევით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს უსდ-ს ფარგლებში მეტი ინტერნაციონალიზაციის აქტივობები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ მოგზაურობა.

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამებს აქვს ძლიერი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რაც უზრუნველყოფს მათ სტაბილურობას და ეფექტიან ფუნქციონირებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაღალკვალიფიციურია და მათი სამუშაო დატვირთვა სისტემატურად მოწმდება. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კომპეტენციადა აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა როგორც ძლიერი მხარე, ხოლო საბიუჯეტო რესურსი სტაბილური და საკმარისია. პროგრამები შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სწავლებასა და სწავლაში სტრატეგიულად ინტეგრირდეს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და უფასო ციფრული ინსტრუმენტები, რომ გაუმჯობესდეს პერსონალისა და სტუდენტების ციფრული კომპეტენციები.

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

უნივერსიტეტს აქვს გამართული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლზე, რომელიც პროგრამის მონიტორინგსა და განვითარებაში ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს რთავს. განვითარების ხელშესაწყობად, პროგრამები ასევე ეფექტიანად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს, მათ შორის წინა აკრედიტაციებისა და ექსპერტების შეფასებების რეკომენდაციებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმები საჭიროებს გადახედვას. ამიტომ, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მისცა რეკომენდაცია, დანერგოს სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდები და პერიოდულად პროგრამები შეადაროს მსგავსს ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებს, მათი უწყვეტი გაუმჯობესებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმის დანერგვა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული კურსის საბოლოო შეფასებებზე. თითოეულმა პროგრამის გუნდმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტები ან აქტივობები, რომლებიც პირდაპირ ზომავს პროგრამის სწავლის შედეგებს. ამ მიზნობრივი შეფასებებიდან მიღებული მონაცემები სისტემატურად უნდა შეგროვდეს, გაანალიზდეს და გამოყენებულ იქნას პროგრამის გაუმჯობესებისთვის (სტანდარტი 1.3).
2. რეკომენდირებულია, საჯაროობის უზრუნველსაყოფის მიზნით, პროგრამასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის განახლება ოფიციალურ ვებგვერდზე, რათა აისახოს ამჟამინდელი სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და სტრუქტურული ცვლილებები (სტანდარტი 1.4).
3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება უახლესი ლიტერატურით, სადაც ეს შესაძლებელია (სტანდარტი 1.5).
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მთავრობის №394 (2020) დადგენილებით განსაზღვრული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა (სტანდარტი 1.5).
5. რეკომენდირებულია, განახლდეს ვებ-გვერდი პროგრამაზე ჩარიცხვის ყველა კრიტერიუმის გამოქვეყნების მიზნით (სტანდარტი 2.1).
6. რეკომენდირებულია, შიდა გამოცდების სტანდარტების დადგენა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება (სტანდარტი 2.1).
7. რეკომენდირებულია, ჯგუფური მუშაობის კომპონენტის ფორმალიზება და მისი სათანადოდ ასახვა სასწავლო კურსების სილაბუსებსა და შეფასების სისტემაში, რათა შენარჩუნდეს ბალანსი ტრადიციულ ლექცია-სემინარს, ტესტებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და ინოვაციურ პედაგოგიურ მეთოდებს შორის (სტანდარტი 2.3).
8. რეკომენდირებულია შეფასების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდეს რუბრიკების სისტემატური დანერგვა (სტანდარტი 2.3).

9. რეკომენდირებულია, შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია, ტრადიციული წერილობითი გამოცდების მიღმა. (სტანდარტი 2.4).
10. რეკომენდირებულია, შეიქმნას თანმიმდევრული შეფასების სტანდარტები დეტალური შეფასების რუბრიკებითა და შესრულების მკაფიო აღწერილობებით (სტანდარტი 2.4).
11. რეკომენდირებულია, მასწავლებლის მოსამზადებელ კურსებში პრიორიტეტი მიენიჭოს პრაქტიკის შეფასებას, თეორიასთან შედარებით. (სტანდარტი 2.4)
12. რეკომენდირებულია, ყველა სილაბუსში საკონსულტაციო საათების მითითება (სტანდარტი 3.1).
13. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ შეფასებად გამოიყენეთ მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსებიდან მიღებული კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა, რომელიც პირდაპირ ზომავს სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტმა თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა დანერგოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (სტანდარტი 5.3)
14. რეკომენდირებულია, პერიოდულად შეადაროთ საგანმანათლებლო პროგრამები უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს საერთაშორისო თანამედროვე მოთხოვნებს და იზიარებდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს. (სტანდარტი 5.3)

პროგრამა 1: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 7)

რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობების განახლება პროგრამაში და შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა ის დაინტერესებული პირებისთვის იყოს ხელმისაწვდომი (სტანდარტი 2.1)

პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 6)

რეკომენდირებულია აპლიკანტებისთვის შიდა გამოცდების შეფასების კრიტერიუმების დადგენა და უნივერსიტეტის ვებსაიტზე გამოქვეყნება (სტანდარტი 2.1).

რჩევები

კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, ციფრული კომპეტენციების გაძლიერება და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მომავალ აქტუალურობასა და ეფექტიანობას (სტანდარტი 1.4)
2. სასურველია, ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობითი შეფასების კომპონენტის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ტრანსფერული კომპეტენციების რეალურ პრაქტიკულ განვითარებას; (სტანდარტი 2.2).
3. სასურველია, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პლაგიატთან დაკავშირებული რესურსების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და მათი პრაქტიკული განხორციელების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება (სტანდარტი 2.2).
4. სასურველია, სწავლა-სწავლების მეთოდების კურსების სპეციფიკასთან ადაპტირება და სასწავლო სილაბუსებში სტანდარტული უნიფიცირებული სიის შემცირება. (სტანდარტი 2.3).
5. სასურველია, კურსდამთავრებულთა ქსელის ფორმალიზება ისე, რომ მათმა გამოცდილებამ სისტემურად შეუწყოს ხელი სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას (სტანდარტი 2.3).
6. სასურველია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ადაპტაციის სისტემური მიდგომების დანერგვა (სტანდარტი 2.3).
7. სასურველია, ელექტრონული/დისტანციური სწავლების დროს, სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და პროცედურის შემუშავება (სტანდარტი 2.4).
8. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის აქტივობების უნივერსიტეტის სივრცეში განხორციელება (სტანდარტი 3.1).
9. სასურველია, სტუდენტური საერთო საცხოვრებლების აშენება (სტანდარტი 3.1).
10. სასურველია, აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემების ფორმის შემუშავება და მისი უახლესი ინფორმაციით განახლება (სტანდარტი 4.3).
11. სასურველია, ფაკულტეტის დონეზე შეფასების შედეგების თემატური ანალიზის განხორციელება, რათა ხელი შეუწყოს საერთო პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და ჯგუფური ტრენინგების დაგეგმვას (სტანდარტი 4.3).
12. სასურველია, სტუდენტების უკუკავშირის სისტემატური ანალიზი ინტეგრირებული იყოს შეფასების პროცესში, როგორც ხარისხის ინდიკატორი და ტრენინგის დაგეგმვის საფუძველი (სტანდარტი 4.3).

13. სასურველია, რომ კლასტერის ორივე საგანმანათლებლო პროგრამამ დაანერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდოლოგიებში. ეს ინიციატივა არ საჭიროებს ახალი IT ინფრასტრუქტურის შექმნას. ამის ნაცვლად, საჭიროა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, რომ მათ გამოიყენონ უფასო ციფრული ინსტრუმენტები, პლატფორმები და რესურსები სწავლების პროცესში, რაც წარმოადგენს თანამედროვე პედაგოგიკისა და კვლევის ფუნდამენტს. რამდენიმე მაგალითი: გამოკითხვა/ვიქტორინა: (მაგ. Kahoot, Mentimeter); თანამშრომლობა/ბრენშტორმინგი: (მაგ. Padlet, Miro); მითითებებისა და ციტირების მართვა (მაგ. Zotero, Mendeley), ხელოვნური ინტელექტი (მაგ. ChatGPT, Gemini, Perplexity)

პროგრამა 1: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 7)

1. სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს და შეასწოროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნებში უნდა იყოს ასახული, რომ კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ საგანმანათლებლო სფეროს ღრმა და სისტემური კრიტიკული ანალიზი, რაც წარმოადგენს ინოვაციებისა და ორიგინალური იდეების განვითარების საფუძველს და სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურის აღმწერებს (სტანდარტი 1.1).
2. სასურველია, ციფრული კომპეტენციის განვითარება და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობასა და წარმატებას (სტანდარტი 1.4)

პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 6)

1. სასურველია, ციფრული კომპეტენციის განვითარება და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობასა და წარმატებას. (სტანდარტი 1.4)

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)¹

¹ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების
თაობაზე

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციას წარადგენს საბჭოს ზეპირ მოსმენაზე

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე
მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტაციის, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და მიგნებების საფუძველზე, დგინდება, რომ კლასტერში შემავალი ორივე პროგრამის - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის - მიზნები კარგად გააზრებულია და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ორივე პროგრამის მიზნები ნათლად არის ფორმულირებული, რეალისტურია და შეესაბამება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. დაწესებულება იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, კერძოდ, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს და საქართველოს განათლების სექტორის საჭიროებების ანალიზის შედეგებს. ეს უზრუნველყოფს, რომ პროგრამები არა მხოლოდ აკადემიურად გამართულია, არამედ მჭიდროდ დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების მიზნებთან. პროგრამის მიზნები საჯაროა, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და შემუშავებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების თანამშრომლობითა და ჩართულობით. შედეგად, პროგრამის მიზნები

გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, ვინც მის განხორციელებაში მონაწილეობს.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ორ პროგრამას შორის მიზნების ფორმულირების მხრივ განსხვავებაა. მართალია, ორივე პროგრამის მიზნები მკაფიო და რეალისტურია, თუმცა მეშვიდე დონის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად არ გამოხატავს ამ დონისთვის საჭირო, მოწინავე კოგნიტურ შესაძლებლობებს. კონკრეტულად, პროგრამის მიზნებს აკლია აქცენტი იმ „ღრმა, სისტემურ ცოდნასა და მის კრიტიკულ გააზრებაზე“, რაც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით წარმოადგენს მე-7 დონის კვალიფიკაციის საფუძველს. აღნიშნული ჩარჩო მიუთითებს, რომ ამ დონემ უნდა შექმნას „ინოვაციების, ახალი ორიგინალური იდეების განვითარების საფუძველი“. პროგრამის მიზნებში არსებული ეს ხარვეზი მოქმედებს როგორც სილაბუსებში სწავლების შედეგების ფორმულირებაზე, ასევე შემდგომში მათი შეფასების პროცესზე, რაც დეტალურად არის განხილული სტანდარტებში 1.2 და 2.4.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მე -7 საფეხური)

ინტეგრირებული პროგრამის მიზნები მკაფიოდ განსაზღვრულია და შეესაბამება 300 კრედიტიან მე-7 დონის შესაბამის კვალიფიკაციას. თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 15) მიხედვით, პროგრამის მიზანია:

- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის (და სპეციალური განათლების მასწავლებლის) მომზადება, რომლის კომპეტენციები შეესაბამება სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოთხოვნებს.
- თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.
- კურსდამთავრებულთა აღჭურვა საჭირო ინსტრუმენტებით, რათა შექმნან მამოტივირებელი, სტუდენტზე ორიენტირებული და ინკლუზიური სასწავლო გარემო.
- პროფესიული პასუხისმგებლობის, რეფლექსიური პრაქტიკისა და კვლევითი უნარების განვითარება.

ეს მიზნები აშკარად შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. ამ პროგრამის მთავარი ძლიერი მხარეა შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინება, რაც დასტურდება ორი განსხვავებული არჩევითი მოდულის ინტეგრირებით (ერთი

მოდული იძლევა V-VI კლასებში ორი საგნის სწავლების უფლებას, ხოლო მეორე ანიჭებს სპეციალური განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციას), რაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს მოქნილობასა და მოთხოვნადი კვალიფიკაციების დაუფლების შესაძლებლობას. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგები. შედეგად, პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკულ მოთხოვნებს და პირდაპირ ხელს უწყობს კვალიფიციური მასწავლებლების მომზადებას.

მართალია, პროგრამის მიზნები ორიენტირებულია პროფესიონალი პედაგოგების მომზადებაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის მიზნებში სრულად არ არის ფორმულირებული მე-7 დონის კვალიფიკაციით გათვალისწინებული აკადემიური მოთხოვნები. პროგრამის გაცხადებული მიზნები, ძირითადად, შეძენილი უნარების გამოყენებასა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაზეა ორიენტირებული (მაგ., „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება“, „თეორიული და პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფა“ და „კურსდამთავრებულების აღჭურვა“). არ არის მითითებული, თუ როგორ ჩაერთვებიან პროგრამის კურსდამთავრებულები დარგის კრიტიკულ ანალიზში ან ინოვაციური მეთოდებით, განახორციელებენ ახალ პედაგოგიურ იდეებს, რაც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, სწავლების სამაგისტრო საფეხურზე მნიშვნელოვანია. სწორედ, ეს არის გასაუმჯობესებელი, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამებოდეს მე-7 დონეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მე-6 დონე)

ამ 60-კრედიტიანი პროგრამის მიზნები მე-6 დონის პროფესიული მომზადების პროგრამისთვის თანმიმდევრული და რეალისტურია. პროგრამის მიზანია:

- აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენა, არჩეული საგნის სწავლების მეთოდოლოგიით.
- მომავალი მასწავლებლების აღჭურვა კლასის მართვისა და მოსწავლეთა მოტივაციის უნარებით.
- პროფესიული ღირებულებების, პასუხისმგებლობის, თვითშეფასებისა და უწყვეტი განვითარების უნარის განვითარება (თვითშეფასების ანგარიში გვ.16).

ეს მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომ მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები. პროგრამა პირდაპირ პასუხობს საზოგადოების საჭიროებას, უზრუნველყოფს რა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირების მასწავლებლებად ჩამოყალიბებას და შესაბამისად, სკოლებში საგნობრივი ვაკანსიების შევსებას. პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ უზრუნველყო, რომ პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებიც

დააკმაყოფილებენ საქართველოს განათლების სისტემაში მოთხოვნილ პროფესიულ სტანდარტებს. პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს პროგრამის წვლილს დარგის განვითარებაში, რადგან ის მიზნად ისახავს კომპეტენტური და რეფლექსიური პრაქტიკოსების მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მონახაზები და მათი შესაბამისი დანართები.
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია.
- თვითშეფასების ანგარიში და დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვები (SER, გვ. 12, 15). განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები.
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი (tesau.edu.ge), სადაც განთავსებულია პროგრამის შესახებ ინფორმაცია.
- ადგილზე ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
- გარე შეფასების შემაჯამებელი პუნქტები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დონე 7)

რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს და შეასწოროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნებში უნდა იყოს ასახული, რომ კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ საგანმანათლებლო სფეროს ღრმა და სისტემური კრიტიკული ანალიზი, რაც წარმოადგენს ინოვაციებისა და ორიგინალური იდეების განვითარების საფუძველს და სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურის აღმწერებს

(სტანდარტი 1.1). მიზნების ხელახლა ფორმულირება თავის მხრივ გამოიწვევს სწავლის შედეგებისა და შეფასები სტრატეგიების გადახედვის საჭიროებას, შემდგომი თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება ²

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლ ო პროგრამა , დონე 7) | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლ ო პროგრამა, დონე 6) | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე, დგინდება, რომ როგორც ინტეგრირებული პროგრამის, ასევე, მასწავლებელთა მომზადების პროგრამის სწავლის შედეგები არის განსაზღვრული და ლოგიკურად დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიის ირგვლივ, რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს. თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი კონკრეტული კომპეტენციების შესახებ ინფორმაცია (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 17-23). სწავლის შედეგების შედეგების შემუშავების პროცესი იყო თანამშრომლობითი და მონაწილეობდნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, სწავლის შედეგების პროფესიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფს მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ თავად სწავლის შედეგები კარგად არის ფორმულირებული, ადგილზე ვიზიტის დროს, გამოვლინდა, რომ მათი შეფასების მექანიზმები საჭიროებს გადახედვას. მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მრავალფეროვნება, რომ შესაბამისად გაიზომოს სწავლის შედეგების სრული სპექტრი, განსაკუთრებით კი კოლაბორაციულ და პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებული შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 7) ინტეგრირებული პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად აღწერილია და შეესაბამება მე-7 დონის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ისინი დაყოფილია სამ ძირითად მიმართულებად: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ეს შედეგები პირდაპირ შეესაბამება პროგრამის მიზანს, რომ მოამზადოს მაღალი კომპეტენციის მქონე დაწყებითი სკოლის უფროსი მასწავლებლები. პროგრამის დოკუმენტები აჩვენებს კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, რაც მოწმობს პროგრამის განხორციელებისადმი

სტრუქტურირებულ მიდგომას. სწავლის შედეგები მოიცავს სწავლების სამაგისტრო საფეხურის შესაბამის ცოდნას (მაგ., განვითარების თეორიები, სასწავლო გეგმის სტრუქტურა), უნარებს (მაგ., ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა, პრაქტიკული კვლევის ჩატარება) და ავტონომიას (მაგ., უწყვეტი პროფესიული განვითარებისადმი ერთგულება).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დონე 6)

ამ 60-კრედიტიანი პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია და შეესაბამება მე-6 დონის პროფესიულ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, რომელიც ითვალისწინებს სხვა სფეროების კურსდამთავრებულების აღჭურვას ძირითადი კომპეტენციებით, რათა ასწავლონ კონკრეტული საგნები საბაზო და საშუალო დონეზე. სწავლის შედეგები მოიცავს აუცილებელ პედაგოგიურ ცოდნას, კლასის მართვის უნარებს და მასწავლებლის პროფესიულ პასუხისმგებლობებს. თვითშეფასების ანგარიშში, (გვ. 20-22) ნათლად არის განსაზღვრული ეს კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მზაობას დააკმაყოფილონ საქართველოში მასწავლებლებისთვის დადგენილი პროფესიული სტანდარტები. შედეგები გაზომვადი და მიღწევადია პროგრამის სტრუქტურისა და ხანგრძლივობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში (SER), განსაკუთრებით სწავლის შედეგების დეტალური აღწერილობები 17-23 გვ..
- ორივე პროგრამის მონახაზი და მათი დანართები, მათ შორის სასწავლო გეგმის რუკები და სასწავლო გეგმები.
- გარე მიმოხილვის ვიზიტის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს შეფასების სტრატეგიებთან დაკავშირებულ დასკვნებს.
- აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
- მასწავლებელთა განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლები.
- სწავლის შედეგების თანამშრომლობით შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (მაგ., ფაკულტეტის შეხვედრების ოქმები).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება ³

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|--|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო, (მე-7 დონე) | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, (მე-6 დონე) | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში (SER, გვ. 23-25) ასახავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. ეს სისტემა ძირითადად ითვალისწინებს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტების ნიშნების მონიტორინგს და მათ შედარებას ECTS შეფასების შკალიდან გამომდინარე სამიზნე ნიშნულებთან. პროცესი ადგენს „აღსანიშნავ შედეგებს“, როგორცაა კონკრეტულ კურსში რამდენიმე წლის განმავლობაში სტუდენტთა ჩაჭრის მაღალი პროცენტი ან უმაღლესი შეფასებები, რაც შესაძლოა რევიზიის საფუძველი

³ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

გახდეს. უნივერსიტეტი ასევე იყენებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს არაპირდაპირი მონაცემების შესაგროვებლად. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ შეფასებების შედეგები პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოიყენება.

თუმცა, გარე შეფასების შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით, გამოვლინდა გაუმჯობესების საჭიროება. მართალია, მექანიზმი არსებობს, თუმცა საჭიროებს გადახედვას. შეფასების ამჟამინდელ სტრატეგიას აკლია მრავალფეროვნება, რაც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების სრული სპექტრის სათანადოდ გაზომვისთვის, განსაკუთრებით - პრაქტიკული, თანამშრომლობითი და ტრანსფერული უნარების, რომლებიც პროგრამის მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მნიშვნელოვანი კომპეტენციების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები არასაკმარისია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება იყენებს შეფასების შედეგებს შეგროვებული მონაცემები არასრულია, რაც ზღუდავს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობას. შესაბამისად, შეფასების მექანიზმი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში (SER), კერძოდ, ნაწილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ (გვ. 23-25).
- გარე შეფასების ვიზიტის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც გასაუმჯობესებელ მხარეებად განსაზღვრავს „სასწავლო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმებს“ და „შეფასების სტრატეგიას - საჭიროა მეტი მრავალფეროვნება“.
- პროგრამის დოკუმენტები, მათ შორის სწავლის შედეგების რუკები და შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჩამოთვლილია სილაბუსებში.
- „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია“, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
- აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეფასების პრაქტიკისა და უკუკავშირის შესახებ გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმის დანერგვა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული კურსის საბოლოო შეფასებებზე. თითოეულმა პროგრამის გუნდმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტები ან აქტივობები, რომლებიც პირდაპირ ზომავს პროგრამის სწავლის შედეგებს. ამ მიზნობრივი შეფასებებიდან მიღებული მონაცემები სისტემატურად უნდა შეგროვდეს, გაანალიზდეს და გამოყენებულ იქნას პროგრამის გაუმჯობესებისთვის

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება ⁴

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|--|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო, (მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, (მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

⁴ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების წარმოდგენილი კლასტერი ავლენს მასწავლებელთა განათლებისადმი თანმიმდევრულ მიდგომას თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გვთავაზობს რა დამატებით გზებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინების, ხარისხის სტანდარტისა და პედაგოგიური მიდგომების შენარჩუნების მხრივ. ორივე პროგრამა ეფუძნება უსდ-ში არსებულ პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ინსტიტუციურ მეთოდოლოგიას, რაც მოწმობს, პროგრამის შემუშავება იყო თანამშრომლობითი პროცესი და მისი განვითარების ყველა ეტაპზე ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, კლასტერის სტრუქტურული თანმიმდევრულობა. ორივე პროგრამის ფარგლებში, სასწავლო კურსები ლოგიკურად არის ურთიერთდაკავშირებული, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამები სტრუქტურირებულია ისე, რომ ითვალისწინებს პროგრესს თეორიული საფუძვლებიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე, რაც მასწავლებლის მომზადების თანამედროვე მიდგომაა. ორივე პროგრამა ითვალისწინებს ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რასაც მოჰყვება პედაგოგიური თეორია, მეთოდოლოგიური ტრენინგი და კულმინაცია - ფართო პრაქტიკული გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ კლასტერი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობას, მასწავლებელთა მომზადების დარგობრივი მახასიათებელს და ECTS სტანდარტებს. ორივე პროგრამის შემთხვევაში, ერთი კრედიტი შეადგენდეს 25 საათს: საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი სამუშაო საათების ჩათვლით. კრედიტების განაწილება მოწმობს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის ბალანსს. თითოეული პროგრამის ფარგლებში კრედიტები გადანაწილებულია სათანადოდ, კურსების მასშტაბისა და მოსალოდნელი შედეგების შესაბამისად.

ორივე პროგრამა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტებს, რაც ადასტურებს უსდ-ს ინსტიტუციურ მიდგომას გლობალური სტანდარტების მიმართ. ეს გამოიხატება კურსებში უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით, ზოგადი და დარგობრივი ინგლისურის კურსების შემოღებით, პროგრამების საერთაშორისო ანალოგებთან შედარებით და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით. პროგრამები ითვალისწინებს განათლების თანამედროვე გლობალურ ტენდენციებს, განსაკუთრებით, ინკლუზიური განათლებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს.

თუმცა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ, არსებობს გარკვეული ხარვეზები. უსდ-ს ვებგვერდზე ინფორმაცია მიმდინარე პროგრამის შესახებ არ არის მითითებული, განთავსებულია ძველი ვერსიები. ეს მნიშვნელოვანი ხარვეზია, რადგან დაინტერესებული მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია პროგრამების შესახებ. საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მხრივ, სტანდარტის მოთხოვნები შესრულებული არ არის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, II დონე) სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა და შედგენილია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის შესაბამისად. აკადემიური კომპონენტების შინაარსი, სტრუქტურა და თანმიმდევრულობა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას და სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „განათლების მაგისტრი“, რაც შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობითა და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემით (ECTS) დადგენილი პროცედურის თანახმად, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ასევე, სტუდენტის დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 300 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შემდეგ, პროგრამა მოიცავს სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდულს, რომელიც შეადგენს 63 კრედიტს. აქედან, 50 კრედიტი სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების სპეციალიზებულ კურსებს მოიცავს, ხოლო დარჩენილი 13 კრედიტი პროგრამის ძირითადი კომპონენტიდან ივსება.

ამავდროულად, სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდულთან ერთად, პროგრამა მოიცავს საგნობრივ-მეთოდოლოგიურ მოდულს ქართულის/მათემატიკის/ბუნებისმეტყველების (ამ ორიდან ნებისმიერი საგანი) სწავლებისთვის მე-5-6 კლასებში, სულ 50 კრედიტით. ორივე მოდული არჩევითია და თითოეული, პროგრამის ძირითად კომპონენტთან ერთად, ჯამში 300 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის კრედიტები შემდეგი პროპორციებით ნაწილდება:

პროგრამის ძირითადი კომპონენტი მოიცავს 250 კრედიტს, მათ შორის:

- თავისუფალი არჩევითი კომპონენტების მოდული (34 ECTS)
- პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, დაწყებითი განათლების საგნობრივი (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) და მეთოდოლოგიური მოდული (160 ECTS)
- სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული (56 ECTS)

მე-5-6 კლასებში ქართული ენისა და/ან მათემატიკისა და/ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო მოდულის შემთხვევაში (ამათგან, ორი საგნის შერჩევით), ზემოაღნიშნულ კრედიტებს დამატებით 50 ECTS კრედიტი ემატება: საგნობრივი და მეთოდოლოგიური კომპონენტები მე-5-6 კლასებისთვის (40 ECTS) და სასკოლო პრაქტიკა (10 ECTS). (ეს უკანასკნელი კომპონენტი, ძირითადი პროგრამის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან ერთად, ქმნის 66 ECTS-ს).

სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდულის შემთხვევაში, ძირითადი პროგრამის კრედიტებს ემატება 50 ECTS კრედიტი, მათ შორის: სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების კურსები - 35 ECTS და სპეციალიზაციისთვის საჭირო პრაქტიკა - 15 ECTS. ეს უკანასკნელი კომპონენტი, ძირითადი პროგრამის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან ერთად, ქმნის 71 ECTS-ს. ზემოაღნიშნულის გარდა, ეს მოდული მოიცავს 3 აკადემიურ კურსს ძირითადი პროგრამის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდულიდან, რომელთა ჯამური მოცულობაა 13 ECTS; საბოლოო ჯამში, ამ მოდულის მოცულობა 63 ECTS-ს შეადგენს.

დამატებითი მოდულები:

- ბ) ა) 5-6 კლასებში საგნობრივი სწავლების მიმართულება: მე-5-6 კლასებში ქართულის და/ან მათემატიკის და/ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მოდულის (ორი საგნის არჩევით) შერჩევისას, 50 ECTS ემატება: საგნობრივი და მეთოდოლოგიური კომპონენტები მე-5-6 კლასებისთვის (40 ECTS) და სასკოლო პრაქტიკა (10 ECTS). ეს უკანასკნელი კომპონენტი, ძირითადი პროგრამის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან ერთად, 66 ECTS-ს ქმნის.
- ბ) სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდული: სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდულის შემთხვევაში, ძირითადი პროგრამის კრედიტებს ემატება 50 ECTS კრედიტი, მათ შორის: სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების კურსები - 35 ECTS და სპეციალიზაციისთვის საჭირო პრაქტიკა - 15 ECTS. ეს უკანასკნელი კომპონენტი, ძირითადი პროგრამის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან ერთად, 71 ECTS-ს ქმნის. გარდა ამისა, ეს მოდული მოიცავს ძირითადი პროგრამის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდულიდან 3 აკადემიურ კურსს, სულ 13 კრედიტს, რაც ამ მოდულისთვის სულ 63 კრედიტს ქმნის.

თავისუფალი კომპონენტების მოდული (34 ECTS): ეს მოდული მოიცავს მოწინავე სპეციალიზებულ აკადემიურ კურსებს და ისეთ კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია მასწავლებლის პროფესიისთვის აუცილებელი ზოგადი ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაზე. საგანმანათლებლო კურსები არის როგორც სავალდებულო (30 ECTS), ასევე, არჩევითი (4 ECTS), რომლებსაც სტუდენტები ირჩევენ უნივერსიტეტისა და პროგრამის მიერ შემოთავაზებული სპეციალიზებული აკადემიური კურსებიდან; ისინი სპეციალურად შერჩეულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და/ან პირდაპირ ორიენტირებულია ცოდნის გაღრმავებასა და მასწავლებლის მომზადებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაზე.

საგნობრივი და მეთოდოლოგიური მოდული 160 ECTS-ისგან შედგება. სპეციალიზებული კომპონენტის საგნობრივი და მეთოდოლოგიური მოდულიდან, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას და სხვა სპეციალურ აკადემიურ კურსებს ჯამში 80 ECTS კრედიტი აქვს გამოყოფილი, მათ შორის, 74 სავალდებულო და 6 ECTS არჩევითი კურსი. დაწყებითი საფეხურის ზოგადი განათლების საგნობრივი (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) და მეთოდოლოგიურ კომპონენტს

(შეესაბამება I-IV კლასებს) 80 ECTS კრედიტი აქვს გამოყოფილი, რომელთაგან ყველა სავალდებულო კურსია.

სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული მოიცავს 56 ECTS-ს. სასკოლო პრაქტიკის (პასიური და I-IV კლასების შესაბამისი - 22 ECTS) და პრაქტიკის კვლევის მოდული (34 ECTS) წარმოდგენილია 56 ECTS-ის ოდენობით.

I-VI სემესტრებში სტუდენტები სწავლობენ ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მოდულების ძირითად კურსებს (40 ECTS) და ამ საგნების სწავლების მეთოდოლოგიებს (40 ECTS), რაც შეესაბამება დაწყებითი საფეხურის (1-4 კლასები) მასწავლებლის სტანდარტებს, უფროსი მასწავლებლის კომპეტენციებისა და 1-4 კლასების საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით.

V სემესტრში სტუდენტები ირჩევენ ორ მოდულს შორის, რომელთა განხორციელებაც VI სემესტრში იწყება:

ა) 5-6 კლასებში საგნობრივი სწავლების მიმართულება: ეს მოდული შეიცავს საგნობრივ კომპონენტებს (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება - სტუდენტები ირჩევენ ორს 20 კრედიტის ფარგლებში) და მეთოდოლოგიურ კომპონენტებს (შეესაბამება V-VI კლასებს - სტუდენტები ირჩევენ ორს, რომლებიც შეესაბამება არჩეულ საგნებს - 20 კრედიტის ფარგლებში). სულ 40 ECTS. ეს მოდული ასევე მოიცავს სასკოლო პრაქტიკას V-VI კლასებში, რომლებიც შეესაბამება არჩეულ საგნებს - 10 კრედიტი.

ბ) სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა: საგნობრივ-მეთოდოლოგიური მოდული: გამოყოფილია 66 ECTS (50 ECTS ძირითადი პროგრამიდან და 10 ECTS მე-5-6 კლასებისთვის). სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების მოდული: გამოყოფილია 71 ECTS (50 ECTS ძირითადი პროგრამიდან და 15 ECTS სპეციალური განათლების სწავლებისთვის).

სტუდენტთა აქტიური სასკოლო პრაქტიკისთვის უკეთ მოსამზადებლად, სასწავლო გეგმის ძირითადი კომპონენტი (ორივე არჩევითი მოდულისთვის) პრაქტიკის მოდულში მოიცავს სავალდებულო, პასიურ პრაქტიკას (2 ECTS), რაც გულისხმობს სტუდენტთა დაკვირვებას და სასწავლო პროცესისა და სასკოლო აქტივობების სპეციფიკის გაცნობას.

პირდაპირი სასკოლო პრაქტიკა სამი სემესტრის განმავლობაში ხორციელდება. პირველი ეტაპი მოიცავს პრაქტიკას 10 ECTS კრედიტის ფარგლებში 1-2 კლასებში, რასაც მოჰყვება მომდევნო სემესტრი 10 ECTS კრედიტით - მე-3-4 კლასებში.

300 ECTS-იანი პროგრამა 5 სასწავლო წლისა და 10 სემესტრის განმავლობაში ხორციელდება. თითოეული სემესტრი 19 კვირისგან შედგება, სადაც მე-8 კვირა შუალედური გამოცდებისთვისაა განკუთვნილი, მე-15 კვირა - პრეზენტაციებისთვის, მე-16-17 კვირები - დასკვნითი გამოცდებისთვის, ხოლო მე-18-19 კვირები - დამატებითი გამოცდებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტებს, რაც აისახება კვლევით პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვაში.

აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამის, შესაბამისი სილაბუსებისა და სხვა თანდართული დოკუმენტაციის ანალიტიკური მიგნებების სინთეზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მისი მასშტაბისა და სირთულის გათვალისწინებით, ადეკვატურად აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან მისი შემადგენელი კურსები შეესაბამება ცოდნის/გაგების, უნარებისა და ავტონომიის/პასუხისმგებლობის შესაბამის მე-7 დონის აღმწერებს.

- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტების მაქსიმალური კონტინენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს ვებ-გვერდი პროგრამაზე ჩარიცხვის ყველა კრიტერიუმის გამოქვეყნების მიზნით.
- რეკომენდებულია, შიდა გამოცდების სტანდარტების დადგენა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული ბაკალავრისა და მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა, I დონე)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, ვებგვერდზე განახლდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები

პროგრამა 2 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, დონე I)

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, აპლიკანტებისთვის შიდა გამოცდების შეფასების კრიტერიუმების დადგენა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება

შეფასება

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------|--|--|-------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა(დონე 7) | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები, სხვადასხვა გზებით, უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, როგორც სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ფორმატით, ასევე, დამოუკიდებელი აკადემიური და პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი თანმიმდევრობა უზრუნველყოფს: სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას, კვლევითი/სამეცნიერო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, ტრანსფერული უნარების ინტეგრირებულ განვითარებას, რაც აისახება სასწავლო გეგმაში ცალკეული კურსების სასწავლო გეგმებსა და პრაქტიკის მექანიზმებში.

პრაქტიკული უნარების განვითარება ხორციელდება სკოლის გრძელვადიანი, ეტაპობრივი, აქტიური ჩართულობით; კვლევითი უნარების განვითარება ხორციელდება კვლევაზე ორიენტირებული კურსებით (კვლევის მეთოდები, პრაქტიკული კვლევა, მაგისტრის ნაშრომი); ტრანსფერული უნარების განვითარება უფრო ხორციელდება ინდივიდუალური ფორმატით.

პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული უნარები განვითარება:

- საგნობრივი და პროფესიული პრაქტიკის მოდულებისთვის გამოყოფილია კრედიტები;
- სკოლის პრაქტიკა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში და მოიცავს სწავლების დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების ციკლებს;
- პრაქტიკის პროცესი გულისხმობს არამხოლოდ სწავლების უნარების განვითარებას, არამედ შეფასებისა და რეფლექსიის კომპეტენციებსაც, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ მზაობასა და ავტონომიას.
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში დანერგილი პრაქტიკა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ყველაზე ეფექტური მექანიზმია - თეორიული ცოდნის რეალიზაციისა და პროფესიულ გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.
- პრაქტიკის დროს სტუდენტები იძენენ პრობლემის იდენტიფიცირებისა და რეალურ საგანმანათლებლო გარემოში მოქმედების უნარებს. პედაგოგიური პორტფოლიო, კვლევითი დავალებები და ელექტრონული რესურსების ინტეგრაცია ხელს უწყობს რეფლექსიური და დამოუკიდებელი აქტივობის განხორციელებას.

დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები მიიჩნევენ, რომ პრაქტიკა პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია. პრაქტიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სკოლების აქტიური ჩართულობა პრობლემაზე ორიენტირებული საკითხების გადაწყვეტაში, პროცესის სისტემატიზაციაზე მიუთითებს.

პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა მოიცავს ისეთ კურსებს, როგორცაა:

„კვლევის მეთოდები განათლებაში“

„აკადემიური წერა“

„პრაქტიკული კვლევა“

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი)

- კვლევითი უნარ-ჩვევები ვითარდება როგორც სემინარული და პროექტული დავალებების, ასევე საბაზისო კვლევითი დიზაინის შექმნისა და განხორციელების გზით.
- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რეალურ საგანმანათლებლო გარემოში გამოავლინონ საკვლევი პრობლემები და კვლევის საფუძველზე მოახდინონ პრობლემის გადაწყვეტა . საერთაშორისო კვლევით პროექტში („STEM კონცეფცია მასწავლებელთა მომზადებისთვის“) აქტიური მონაწილეობა კვლევითი ჩართულობის კარგი მაგალითია და პროფესიული კვლევითი სტანდარტების დამკვიდრებას უწყობს ხელს. სტუდენტები ასევე რეგულარულად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში.

ექსპერტთა პანელებთან დისკუსიის დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები, სკოლაში გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით, ატარებენ თემატურ კვლევას, რის შედეგადაც ისინი იძენენ კრიტიკული ანალიზის, კვლევის დაგეგმვისა და ინტერვენციის უნარებს.

უსდ-ში არსებობს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, გამოიყენება სპეციალური ელექტრონული პროგრამები (Turnitin); უნივერსიტეტს აქვს აკადემიური სტანდარტების დოკუმენტი, პლაგიატის პრევენციისა და მასზე რეაგირების დოკუმენტი, სამაგისტრო ნაშრომების შექმნისა და დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი და უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა.

მიუხედავად ამისა, გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ აუცილებელია სტუდენტების ინფორმირება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. საჭიროა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხების ინტეგრირება სწავლებასა და განათლებაში.

ტრანსფერული უნარები (კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი, ეთიკური პასუხისმგებლობა) მიზანმიმართულად არის ინტეგრირებული როგორც ზოგადი განათლების, ასევე პროფესიული განათლების კურსებში.

მაგალითად:

- "მასწავლებლის პორტფოლიო",
- „პედაგოგიური ეთიკა“,
- „კლასის მენეჯმენტი“,

- „საგნის სწავლების მეთოდოლოგია“ და ა.შ.
- აქცენტი კეთდება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალურ გარემოში პასუხისმგებლობით მოქმედებაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს უნარები უფრო ინდივიდუალური აქტივობებით ვითარდება, ჯგუფური მუშაობის კომპონენტი კი ნაკლებად სისტემურია.
- სტუდენტურ კონფერენციებში ჩართულობა, კვლევით ჯგუფებში მონაწილეობა და პორტფოლიოს შექმნა დადებითად მოქმედებს ტრანსფერულ კომპეტენციებზე; ჯგუფური მუშაობის ნაკლებობა კი ხელს უშლის თანამშრომლობითი უნარების სისტემურ განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის პროგრამები
- სტუდენტებისთვის სკოლის სავარჯიშო მასალა
- სამეცნიერო კვლევითი პროექტი: „STEM კონცეფცია მასწავლებელთა მომზადების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის“
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობითი შეფასების კომპონენტის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ტრანსფერული კომპეტენციების რეალურ პრაქტიკულ განვითარებას;
- სასურველია, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პლაგიატთან დაკავშირებული რესურსების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და მათი პრაქტიკული განხორციელების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლ ო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლ ო პროგრამა (მე-7 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლ ო პროგრამა, მე-6 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები სწავლებისა და სწავლის პროცესს სტუდენტზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი და შინაარსზე ორიენტირებული მეთოდოლოგიით ახორციელებს, რომელიც პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს შეესაბამება. სასწავლო გეგმებში ასახული მიდგომები ითვალისწინებს, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე, პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების ინტეგრირებულ განვითარებას.

მრავალფეროვანი და შერეული მეთოდების გამოყენება გათვალისწინებულია სწავლების პროცესში: აქტიურად გამოიყენება ლექცია, დისკუსია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული პროექტები და პრაქტიკა.

პრაქტიკის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული ზრდისთვის, ასევე, სამაგისტრო კვლევის თემის განსაზღვრისთვის. როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, ასევე დამსაქმებლებმა აღნიშნეს ამ კომპონენტის ეფექტურობა.

- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში ინტეგრირება (ელექტრონული სწავლება, ელექტრონული პლატფორმები, ელექტრონული პორტფოლიოები) აუმჯობესებს სტუდენტების ჩართულობას და აუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

- სასწავლო გეგმებში შეფასების სისტემები შეესაბამება სწავლა-სწავლების მეთოდებს; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, რუბრიკებისა და ჯგუფური მუშაობის კომპონენტები საჭიროებს გაუმჯობესებას.

- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, სტუდენტების ჩართულობა და უკუკავშირი პრაქტიკასთან მიმართებით, კვლევით პროექტებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

- სკოლებთან თანამშრომლობითი პრაქტიკა და სკოლაში გამოვლენილ პრობლემებზე სამაგისტრო კვლევა არის პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, არამედ ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართვას.

- კურსდამთავრებულების აზრით, არსებული მეთოდოლოგიები თავსებადია რეალურ სამუშაო გარემოსთან და ხელს უწყობს ინკლუზიური, საერთაშორისო დონეზე ორიენტირებული მიდგომების განვითარებას.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებისა და გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არსებობს სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენების ერთიანი ჩარჩო. ზოგჯერ კურსის სილაბუსში სწავლა-სწავლების მრავალი მეთოდია მითითებული, თუმცა მათი რეალური გამოყენება არ დასტურდება. მიზანშეწონილია, თუ სწავლის/სწავლების მეთოდები მაქსიმალურად იქნებოდა მორგებული კურსების სპეციფიკაზე, რაც განსაზღვრავს მათი გამოყენების მიზანშეწონილობას და პროდუქტიულობას. ასევე, სასურველია სწავლებისა და კვლევის ციფრული ინსტრუმენტების გაძლიერება და ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის სტანდარტიზაცია (მაგალითად, შეფასების კომპონენტში განიხილეთ Turnitin-ის პროგრამის ფორმატი).

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. კლასტერული საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები
2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.tesau.edu.ge
3. უმაღლესი განათლების სექტორული მახასიათებლები დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა განათლებისა და მომზადებისთვის
4. გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ჯგუფური მუშაობის კომპონენტის ფორმალიზება და მისი სათანადოდ ასახვა სილაბუსებსა და შეფასების სისტემაში, რათა შენარჩუნდეს ბალანსი ტრადიციულ ლექცია-სემინარს, ტესტებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და ინოვაციურ პედაგოგიურ მეთოდებს შორის
- რეკომენდირებულია შეფასების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდეს რუბრიკების სისტემატური დანერგვა

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, სწავლა-სწავლების მეთოდების კურსების სპეციფიკასთან ადაპტირება და სასწავლო სილაბუსებში სტანდარტული უნიფიცირებული სიის შემცირება.
- სასურველია, შეფასების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით, გააგრძელოთ რუბრიკების სისტემატური დანერგვა სასურველია, კურსდამთავრებულთა ქსელის ფორმალიზება ისე, რომ მათმა გამოცდილებამ სისტემურად შეუწყოს ხელი სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

- სასურველია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ადაპტაციის სისტემური მიდგომების დანერგვა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი ორივე პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იმისათვის, რომ შეფასება ყველა სტუდენტისთვის იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, საჭიროა სასწავლო გეგმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

თითოეული აკადემიური კურსის კომპონენტები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობას. შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისთვის არის საჯარო წინასწარ ცნობილი, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად.

ნაშრომის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებთან, ასევე, თავიანთ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს.

ნაშრომის დაცვა ხორციელდება უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად, რომელიც მოიცავს მაგისტრატურის ნაშრომის შემუშავების, ფორმატირების, დაცვისა და შეფასების პროცედურებს და ასევე პროცედურებს დაცვის კომისიის მონაწილეობით. ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ნაშრომის დაცვისა და შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები,

დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობს გარე შემფასებელი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი ან იყოს იმავე დარგის დოქტორანტი და არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული იმავე დისერტაციის შემუშავების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა.

სადისერტაციო მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და მათი გათვალისწინება ხდება შეფასების პროცესში.

სტუდენტთა სადისერტაციო ნაშრომების შეფასებისას, გათვალისწინებულია აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმები. ეს საკითხები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, რომლებიც დამატებით წარმოდგენილი იყო ადგილზე ვიზიტის დროს - ეთიკის კოდექსი, კვლევის ეთიკის კოდექსი და პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები.

სტუდენტებს აქვთ გასაჩივრების უფლება, სასწავლო პროცესის მართვის ოფისის მიერ გამოცდების ადმინისტრირების დებულების შესაბამისად, რომელიც ვიზიტის დროს დამატებით წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს. სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აპელაციის უფლების შესახებ, თუმცა გასაუბრების დროს აღინიშნეს, რომ მათ არასოდეს მიუმართავთ აპელაციისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის დებულების თანახმად, აპელაციის პროცესი გულისხმობს, რომ სტუდენტმა უნდა მიმართოს დეკანის ოფისს და/ან უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. თითოეულ სააპელაციო განაცხადს ფაკულტეტის საბჭო განიხილავს. ფაკულტეტის საბჭოსა და კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე შესაძლებელია დაინიშნოს დაცვის პროცედურები.

შეფასების შედეგები ანალიზდება და ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. .

ბოლოდროინდელი ცვლილებების შესაბამისად, როცა სტუდენტებს უკვე კომპიუტერით უწევთ გამოცდების ჩაბარება, უნივერსიტეტი სტუდენტებს უკვე კომპიუტერული მეთოდით შეფასებას სთავაზობს, კურსის კომპონენტის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა კმაყოფილება გამოთქვეს ამ საკითხთან დაკავშირებით.

გასაუბრების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ COVID19-ის დროს. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა, კურსის კომპონენტის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, უზრუნველყო ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის შეფასება. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტის - ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის წარმართვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის - წარდგენა, თუმცა ეს დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფთან არ გაზიარებულა. ექსპერტების ვიზიტის დროს, უსდ-ში დისტანციური/ელექტრონული სწავლება არ მიმდინარეობდა. გარდა ამისა, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები არ მოიცავს დისტანციურ/სასწავლო კურსებს. სამომავლოდ, თუ უნივერსიტეტი ელექტრონულ სწავლებას დანერგავს, უნდა შეიქმნას დისტანციური სწავლება-სწავლების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია/მექანიზმი.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესი, რაც გულისხმობს, რომ ელექტრონული რესურსები სტუდენტებისთვის გაზიარდება ea.tesau.edu.ge-ზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება სტუდენტების შეფასება. ბუნდოვანია, შეფასებების ჩატარება მყისიერი ქმედება იყო თუ უნივერსიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგია და პროცედურა აქვს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ელექტრონული/დისტანციური სწავლების დროს შეფასების სათანადო მეთოდოლოგია და პროცედურა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები კმაყოფილები იყვნენ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების სანდოობით, ვალიდურობითა და გამჭვირვალობით, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტების შეფასებების სანდოობა და ვალიდურობა სრულად იყოს გათვალისწინებული. სანდოობის უზრუნველსაყოფად, შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაა საჭირო. ვალიდურობისთვის, შეფასების მეთოდები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევა. შეფასების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, სასწავლო გეგმებში უნდა იყოს ინტეგრირებული შესაბამისი შეფასების რუბრიკები. ქვემოთ მოცემულია, თითოეული პროგრამის აღწერისა და ანალიზის შესაბამისი მაგალითები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს შეფასების მეთოდების სანდოობა. აქედან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს სხვადასხვა მეთოდი, განისაზღვროს სასწავლო სილაბუსებში და გამოყენებულ იქნას სწავლის პროცესში. ზოგიერთი მაგალითია: დაწყებით საფეხურზე საკლასო მენეჯმენტისა და სასწავლო პროცესის ლიდერობისა და ქართული ენა-მეტყველების კულტურის კურსებს აქვთ მრავალკომპონენტური შეფასების სტრუქტურა. შეფასების მრავალკომპონენტური სტრუქტურა საშუალებას იძლევა სტუდენტის კომპეტენციები შეფასდეს სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე და არა ერთ მონაცემზე დაყრდნობით. „ბავშვის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის“ კურსი ნაკლებად ეფუძნება მრავალკომპონენტურ შეფასების სისტემას. პრაქტიკის კომპონენტის გარდა, კურსის შეფასების სისტემა ძირითადად მოიცავს ტრადიციულ წერით გამოცდებს. პრაქტიკის კვლევის კურსის შემთხვევაში, შეფასების სისტემა ეფუძნება ფრაგმენტულ დავალებებს, რაც აფერხებს მთლიანი კვლევის ციკლის განხორციელებას, ხელს უშლის სტუდენტებს გამოავლინონ ავთენტური კვლევითი კომპეტენციები. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსშიც სრულყოფილად ვერ ხდება პრაქტიკული ელემენტების შეფასება.

ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, შეფასების კომპონენტები და მეთოდები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ გათვალისწინებული იქნას კურსის სპეციფიკა, შეესაბამებოდეს კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფდეს მათ შეფასებას.

აღსანიშნავია, „განვითარებისა და სწავლის თეორიების“ კურსი, სადაც გამოიყენება ინოვაციური შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგია და განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირის მიცემა. ეს შეფასების მექანიზმები თავსებადია 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო კომპეტენციებთან. „ინკლუზიური განათლების“ კურსი მოიცავს სკოლის პრაქტიკას და სწავლის შედეგები ზომავს პროფესიული სწავლების კომპეტენციებს. კურსები „კლასის მენეჯმენტის“ და „სასწავლო პროცესის ლიდერობა სწავლების დაწყებით საფეხურზე“ ითვალისწინებს წერით გამოცდებს (50% შეფასების), მიუხედავად იმისა, რომ ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ქართული ენა-მეტყველების კულტურა ორიენტირებულია წერით შეფასებებზე (შეფასების 60%)მეტად, ვიდრე მეტყველების დემონსტრირებაზე. პრაქტიკული კვლევის კურსი ნაკლებად ორიენტირებულია პრაქტიკულ უნარებზე; განათლების ფსიქოლოგიის კურსი თეორიულ ცოდნას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე პრაქტიკულ კომპეტენციებს. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში პრაქტიკული კომპონენტების შეფასება არ ხდება, რაც ქმნის ხარვეზს სწავლის მიზნებსა და შეფასების პრაქტიკებს შორის. ქვემოთ მოცემულია კურსები, სადაც ცვლილებებია საჭირო მეტი გამჭვირვალობის მხრივ და რუბრიკებთან მიმართებით:

განვითარებისა და სწავლის თეორიების, საკლასო მენეჯმენტისა და სასწავლო პროცესის ლიდერობის, ქართული ენისა და მეტყველების კულტურისა და ბავშვის ანატომიის,

ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის კურსებში მოცემულია ქულების დეტალური განაწილება და კონკრეტული კრიტერიუმები, რაც ეცნობა სტუდენტებს. განათლების ფსიქოლოგიისა და განვითარების ფსიქოლოგიის კურსებში მოცემულია ქულების ბაზისური გადანაწილება, რაც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და ქულების გამოთვლის შესახებ, თუმცა არ არის მოცემული რუბრიკები. პრაქტიკის კვლევის კურსი მოიცავს თეორიული ცოდნის კომპონენტებს, მოცემულია ინფორმაცია ქულების განაწილებისა და შეფასების შესახებ. თუმცა, დავალებები არის ფრაგმენტული და არ ჩანს, როგორ უზრუნველყოფს ინდივიდუალური დავალებები კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში მოცემულია სტრუქტურირებული ინფორმაცია შეფასების კომპონენტებისა და ქულების გადანაწილების შესახებ, თუმცა არ არის მოცემული დეტალური რუბრიკები, რაც მნიშვნელოვანი გამჭვირვალობისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სახელწოდება და საფეხური)

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს შეფასების მეთოდების სანდოობა. აქედან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს სხვადასხვა მეთოდი, განისაზღვროს სასწავლო სილაბუსებში და გამოყენებულ იქნას სწავლის პროცესში. ზოგიერთი მაგალითია: ეროვნული სასწავლო გეგმისა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის 1/2 კურსები ითვალისწინებს 100 ქულიან შეფასების სიტემას, სადაც არსებობს შეფასების მრავალი კომპონენტი და შეფასების სისტემა არ არის დაფუძნებული მხოლოდ ერთ შეფასების მექანიზმზე. თუმცა, განვითარების ფსიქოლოგიის კურსის ფარგლებში შეფასების სისტემა მეტწილად ეფუძნება სუბიექტურ პრეზენტაციებს, ნაკლებ თანმიმდევრულია და ზოგიერთი კომპონენტი ბუნდოვანია. რაც შეეხება პრაქტიკის კვლევის კურსს, კურსის შეფასების სისტემა ძირითადად ეფუძნება ფრაგმენტულ დავალებებს, რაც არ იძლევა კვლევის ციკლის განხორციელების სრულყოფილ შეფასების შესაძლებლობას და სტუდენტებს ხელს უშლის გამოავლინონ ავთენტური კვლევითი კომპეტენციები. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში არსებობს პრაქტიკული ელემენტების შეფასების მეთოდების სანდოობის პრობლემა.

ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, შეფასების კომპონენტები და მეთოდები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას, მიყვებოდეს კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფდეს მათ შეფასებას.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის 1/2 კურსები შესანიშნავია, თანხვედრაშია სწავლის შედეგები და შეფასების ამოცანები - მაგალითად, LO 1.1 (პოზიტიური სასწავლო გარემო) პირდაპირ ფასდება სწავლების მეთოდოლოგიის პრეზენტაციებით, ხოლო LO 2.2 (გაკვეთილის დაგეგმვა) ფასდება სასწავლო გეგმის დიზაინის დავალებებით, რომლებიც ასახავს რეალურ სწავლების სცენარებს. ეროვნული სასწავლო გეგმის კურსის ვალიდურობა აჩვენებს სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის თანხვედრას, განსაკუთრებით ჯგუფურ მუშაობასა და პრაქტიკული შემთხვევების კვლევებში, რომლებიც თანხვედრაშია თანამშრომლობითი სწავლების უნარებთან, თუმცა ზოგიერთი შეფასება ძირითადად გამოყენებაზე მეტად დამახსოვრებაზეა

ორიენტირებული. განვითარების ფსიქოლოგიის კურსში არსებობს ხარვეზები სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ პრეზენტაციები უკავშირდება განვითარების თეორიებს (LO 1.1), ნაკლებად ფასდება განვითარების ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენება სასწავლო კონტექსტში, მეტად ხდება ფოკუსირება თეორიულ, ვიდრე ანალიტიკურ და გამოყენებით უნარებზე, არ ხდება სტუდენტების უნარების შეფასება, რომ მოახდინონ სწავლების მეთოდების ადაპტირება განვითარების სხვადასხვა ეტაპთან. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსის ფარგლებში არ ხდება სტუდენტების კომპეტენციების გაზომვა და შეფასების შედეგები შესაძლოა ვერ ასახავდეს სწავლის მიზნებს ან სტუდენტების პრაქტიკულ ფსიქოლოგიურ კომპეტენციებს.

პრაქტიკული კვლევის კურსი არასათანადოდ აფასებს პრაქტიკული კვლევის განხორციელების უნარებს და ეთიკურ კომპეტენციებს. მიუხედავად იმისა, რომ კურსი ითვალისწინებს თეორიული ცოდნის კომპონენტებს, არსებობს გარკვეული ხარვეზი სწავლის შედეგებსა და რეალური პრაქტიკის შეფასებას შორის. არსებული შეფასების სისტემა ვერ ახდენს სტუდენტების უნარის შეფასებას, რომ მოახდინოს კვლევის მეთოდოლოგიის პროფესიულ პრაქტიკაში ინტეგრირება.

გამჭვირვალობისა და რუბრიკებში საჭირო ცვლილებების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, შემდეგი სილაბუსები:

ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის 1/2 კურსის გამჭვირვალობა სამაგალითოა, მოიცავს ქულებით დეტალურ დაყოფას და თითოეული კომპონენტისთვის სპეციფიკურ კრიტერიუმებს. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის კურსში ყველა კომპონენტს თავისი წონა აქვს, არსებობს დეტალური 10 ქულიანი რუბრიკები კონკრეტული აღმწერებით, გაწერილია ჯგუფური მუშაობისა და ლიდერის როლები, პრეზენტაციის სტანდარტები შესაბამისი ქულით, თუმცა ჯგუფური შეფასების კრიტერიუმებში ზოგიერთი სუბიექტური ჩანაწერი ბუნდოვანია.

განვითარების ფსიქოლოგიის კურსი ყველაზე ნაკლებ გამჭვირვალეა, ძირითადი 60/40 შეფასებით, დეტალური ახსნის გარეშე, 10 ქულიანი ზოგადი რუბრიკები ბუნდოვანი აღწერილობებით, რაც სტუდენტებისთვის არასაკმარისია, შეფასების კომპონენტების შესახებ ინფორმაცია არათანმიმდევრულია და პრეზენტაციებისა და სხვა ძირითადი შეფასების ელემენტების შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი შეფასების კომპონენტებისა და ქულების განაწილების შესახებ საბაზისო სტრუქტურულ ინფორმაციას გვთავაზობს, მას აკლია ეფექტური გამჭვირვალობისთვის აუცილებელი დეტალური რუბრიკების სპეციფიკაციები.

პრაქტიკის კვლევის კურსი აჩვენებს თეორიული ცოდნის კომპონენტების ძლიერ გამჭვირვალობას, რაც იძლევა ნათელ ინფორმაციას ქულების განაწილებისა და შეფასების ძირითადი მოლოდინების შესახებ. თუმცა, გამჭვირვალობას ზიანს აყენებს დავალებების

ფრაგმენტული ბუნება, რომლებიც ვერ ახერხებენ იმის ახსნას, თუ როგორ უწყობს ხელს ინდივიდუალური დავალებები საერთო კვლევითი კომპეტენციის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები;
- კვლევის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი.
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები.
- სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, ფორმატირების, დაცვისა და შეფასების პროცედურების შესახებ დებულება.
- გამოცდების ადმინისტრირების დებულება.
- ეთიკის კოდექსი;
- კვლევის ეთიკის კოდექსი.
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი;
- გასაუბრების შედეგები.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია ტრადიციული წერილობითი გამოცდების მიღმა.
- რეკომენდებულია, შეიქმნას თანმიმდევრული შეფასების სტანდარტები დეტალური შეფასების რუბრიკებითა და შესრულების მკაფიო აღწერილობებით.
- რეკომენდებულია, მასწავლებლის მოსამზადებელ კურსებში პრაქტიკული გამოყენების შეფასებებს თეორიულ გახსენებაზე მეტად მიენიჭოს უპირატესობა.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ელექტრონული/დისტანციური სწავლების დროს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და პროცედურის შემუშავება.

შეფასება

| | | | | |
|--|-------------------------------------|---|---|--|
| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|--|

| | | | | |
|--|--------------------------|----------|--------------------------|--------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან |
|--|--------------------------------------|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების საკითხებთან, ასევე, ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კლასგარეშე აქტივობებთან დაკავშირებით, სტუდენტები კონსულტაციებს იღებენ შესაბამისი დეპარტამენტებისგან. გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები ლექტორებისგან, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მუდმივად იღებენ ინფორმაციას. ადმინისტრაციულ დონეზე, უსდ-ში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის სამსახური, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური და სტუდენტურ საქმეთა ოფისი, რომლებიც ძირითადად ატარებენ პირისპირ შეხვედრებს ან აზიარებენ ინფორმაციას მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიითა და ვებგვერდის საშუალებით. ფაკულტეტის დონეზე, სტუდენტები მხარდაჭერას იღებენ დეკანისგან, პროგრამის დირექტორისგან, აკადემიური დირექტორისა და ლექტორებისგან. სტუდენტებმა უსდ-სთან კომუნიკაცია და პერსონალის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ლექტორები კონსულტაციის საათებს ატარებენ და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები მათ ონლაინ და პირისპირ კონსულტაციებს სთავაზობენ. კონსულტაციის საათები განსაზღვრულია სასწავლო გეგმით და სტუდენტებს კურსის დაწყებისას აქვთ ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ. ზოგიერთ სასწავლო გეგმაში (მაგ.: დაწყებითი მათემატიკის კურსების სწავლების მეთოდოლოგია 1, მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე, აკადემიური წერა, პრაქტიკული კვლევა, სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებითი განათლების სპეციალისტებისთვის და სხვა) მითითებული უნდა იყოს კონსულტაციის საათების დეტალები (სიხშირე/დღეები, დრო, ფორმატი).

აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტი ინტეგრაციის სთავაზობს ღონისძიებებს როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სტუდენტებს. სტუდენტები დადებითად აფასებენ თელავის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ საერთაშორისო შესაძლებლობებს, თუმცა სტუდენტების უმეტესობას სუბიექტური/ოჯახური პრობლემების გამო ქვეყნის დატოვება არ შეუძლია. ამიტომ, რეკომენდებულია, მათთვის ინტერნაციონალიზაციის აქტივობების შექმნა ადგილზე (საერთაშორისო მოწვეული ლექტორების მოწვევა, სტუდენტებისთვის საერთაშორისო ლექტორების/დარგობრივი პროფესიის წარმომადგენლების მიერ მასტერკლასების ჩატარება, სტუდენტებს შორის ერთობლივი ონლაინ პროექტების ან დისკუსიის შესაძლებლობების შექმნა, ონლაინ ზაფხულის/ზამთრის სკოლების განხორციელება).

სტუდენტებს მცირე შესაძლებლობები აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ისინი კარგად არიან ინფორმირებულები და დაასახელეს მაგალითები, თუ სად მიიღეს მონაწილეობა თავად და ან მათ თანაკურსელებმა.

აღსანიშნავია, რომ ყველა სტუდენტი კმაყოფილია თელავი უნივერსიტეტში სწავლით. მათ მოსწონთ ლექტორები, განახლებული ინფრასტრუქტურა, პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებლობა მათი ერთადერთი სურვილი იყო - სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არსებობა, რადგან სტუდენტების უმეტესობას შორი მანძილიდან უწევს მგზავრობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყველა სილაბუსში საკონსულტაციო საათების მითითება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის აქტივობების უნივერსიტეტის სივრცეში განხორციელება.
- სასურველია, სტუდენტური საერთო საცხოვრებლების აშენება.

შეფასება

| | | | | |
|---|-------------------------------|--|--|-------------------------------------|
| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------|--|--|-------------------------------------|

| | | | | |
|--|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

აღწერა და ანალიზი - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე)

უსდ-ს შემუშავებული აქვს „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, ფორმატირების, დაცვისა და შეფასების“ დებულება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი მართავს რესურსებსა და პროცესებს. ეს დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრებების დროს და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტებით.

ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში, ხელმძღვანელები სტუდენტებთან კონსულტაციებს ატარებენ პირისპირ და ონლაინ ფორმატით. კონსულტაციების სიხშირე პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკის შესაბამისად განისაზღვრება. ხელმძღვანელი სტუდენტს კვლევის პროცესში კონსულტაციებს უწევს შემდეგ

საკითხებზე: კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერა, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და კვლევის შედეგების წარდგენა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება რეცენზირებულ კვლევით ჟურნალებში, სამეცნიერო გრანტების კონკურსში მონაწილეობა და ა.შ.

„სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, ფორმატირების, დაცვისა და შეფასების“ ფარგლებში შემუშავებულია მეთოდოლოგია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობის გამოსათვლელად. ლექტორებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მათ შეუძლიათ 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა, შიდა რეგულაციის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას.

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური) ⁵ | |
|---|-----------------|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 12 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | არ ეხება |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 137 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | არ ეხება |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,09 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | არ ეხება |

⁵ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სახელწოდება და საფეხური)

არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- გასაუბრების შედეგები.
- ხელმძღვანელის მუშაობის შეფასების კითხვარი.
- დაუმუშავებელი მასალა ხელმძღვანელის მუშაობის შეფასებაზე.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან | მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან | არ არის შესაბამისო ბაში მოთხოვნებ თან |
|--|---|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლ ო პროგრამა, მე-7 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობა შია | ნაწილობრივ შესაბამისობა შია | არ არის შესაბამისობა ში |
|---|---|---------------------------------|-----------------------------------|-------------------------------|
|---|---|---------------------------------|-----------------------------------|-------------------------------|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამის შემთხვევაში, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებულია 30 ადამიანი (23 აკადემიური, 7 მოწვეული პერსონალი), მათ შორის 6 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 21 თანამშრომელი ჰყავს (18 აკადემიური, 3 მოწვეული პერსონალი), მათ შორის 4 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 1 ასისტენტი. პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურდა წარმოდგენილი აკადემიური ფაილების, რეზიუმეების, კვალიფიკაციის სერტიფიკატებისა და პუბლიკაციების ჩანაწერების შემოწმებით. ასევე, ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათი პრაქტიკული კომპეტენციები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტი სამუშაო ძალის დაგეგმვისას ითვალისწინებს ფაკულტეტის სპეციფიკას, პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობებს, რაც ვარირებს საგანმანათლებლო კონტექსტის მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება სემესტრულად და მოიცავს სწავლებას, კვლევას და სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს. აფილირებული აკადემიური პერსონალის მაღალი წილი (77% პროგრამა 1-ში, 86% პროგრამა 2-ში) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და უწყვეტობას.

ორივე პროგრამის ხელმძღვანელი აფილირებული პროფესორია, რომელთაც აქვთ შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. მათი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამა, ERASMUS+ ინიციატივები) და უწყვეტი პედაგოგიური საქმიანობა მიუთითებს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებაზე.

პროგრამების განხორციელებას მხარს უჭერს ადმინისტრაციული სტრუქტურები, მათ შორის პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანი, სპეციალიზებული პერსონალი და დამხმარე სამსახურები. ეს მრავალშრიანი სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას და სტუდენტთა წარმატებას.

კლასტერი მეტწილ შესაბამისობაშია ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, პერსონალის დაკომპლექტება, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ორივე პროგრამის მდგრადობას. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, II დონე)

აკადემიური პერსონალის წარმოდგენილი პირადი საქმეების განხილვისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური კურსების მოთხოვნებს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და მოწვეული პერსონალის, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პირადი საქმეები და ა.შ.). უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანის და კონკურსის გამოცხადების უნიფიცირებული წესი რომელიც განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობების დაკავების პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად. დოკუმენტი აღწერს კონკურსის პირობებს, მიღების პროცედურებს, კანდიდატის შეფასების ეტაპებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობს 30 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 23 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორისაა 6 პროფესორი (6 აფილირებული პროფესორი) და 12 ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტური კონტინგენტისა და შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა განისაზღვრება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტების მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად..

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე მოიცავს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს. აკრედიტაციისთვის წარდგენილ რაოდენობრივ მაჩვენებელთა დოკუმენტში, სტუდენტების მითითებული საერთო რაოდენობა (137 სტუდენტი) ქმნის შესაბამის თანაფარდობას პროგრამაში ჩართულ ადამიანურ რესურსებთან. უნივერსიტეტის მოქმედი დებულების თანახმად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ყოველ 25 სტუდენტზე გამოიყოფა მინიმუმ 1 აკადემიური პერსონალი. საგნის სწავლების მეთოდოლოგიის მხრივ, ყოველ 15 სტუდენტზე გამოყოფილია 1 აკადემიური პერსონალი. ეს მონაცემი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც არიან უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები. მათ აქვთ პროგრამის განხორციელებლად საჭირო აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით. ორივე მათგანი მონაწილეობს პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტაციასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში. გარდა ამისა, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში (მაგალითად, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამა - 2020-2024, ERASMUS+ პროექტი „CISI - სასწავლო გეგმის ინოვაცია სოციალური ინკლუზიისათვის“ - 2020-2023, Educator Reflection for Quality Early Inclusive Education - 2021-2022 და ა.შ.) და აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის ყოველწლიურ კონფერენციებში. უწყვეტ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ისინი უშუალო კოორდინაციას უწევენ პროგრამის ძირითადი კურსების განხორციელებას და მათ შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების ფლობით, რაც ასახულია მათ რეზიუმეებში. ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ პერსონალის უმეტესობა უნივერსიტეტში დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მათი ჩართულობა მოიცავს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის კომპონენტების სემესტრულ განაწილების, კურსებზე დაშვების წინაპირობების, თითოეული კურსისთვის კრედიტების განაწილების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასებას და ამ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარებას პროგრამის ხელმძღვანელებისათვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული და ასახული იყო პროგრამის შესაბამის დოკუმენტაციაში.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტში მომუშავე შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: პრორექტორები (აკადემიურ და კვლევით სფეროებში), განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეები, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებას ასევე მხარს უჭერენ უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების სპეციალისტები, ბიბლიოთეკის პერსონალი და აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც ასევე რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და დამხმარე პერსონალის ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია. პროგრამის სტუდენტებს მხარს უჭერს შესაბამისი რაოდენობისა და კომპეტენციებით აღჭურვილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

| პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, II დონე)⁶ | | | | |
|--|--|---|--|--|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი მიმართულებით ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით⁷ | მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს⁸ | მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 30 | 4 | 26 | 23 |

⁶ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁸ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| | | | | |
|-------------------------|----|---|----|----|
| - პროფესორი | 6 | 0 | 6 | 6 |
| - ასოცირებული პროფესორი | 12 | 0 | 12 | 12 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 5 | 0 | 5 | 5 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 4 | 3 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები) და პუბლიკაციების სიები;
- პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები, რეზიუმეები, პუბლიკაციების სიები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები);
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლები;
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიური პერსონალის რეკრუტირების პროცედურები;
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და მაქსიმალური კონტიგენტის ლიმიტების განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია პერსონალის შესახებ;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, დონე I)

აკადემიური პერსონალის წარმოდგენილი პირადი საქმეების განხილვისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის

განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური კურსების მოთხოვნებს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და მოწვეული პერსონალის, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პირადი საქმეები და ა.შ.). უნივერსიტეტი ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის დაქირავებისა და კონკურსის პროცედურების ერთიანი დებულების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობების დაკავების ოქმებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად. დოკუმენტი აღწერს კონკურსის პირობებს, მიღების პროცედურების დოკუმენტაციას, კანდიდატების შეფასების ეტაპებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 21 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 18 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორისაა 4 პროფესორი (4 აფილირებული პროფესორი) და 11 ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტური კონტინგენტისა და შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განაწილების განსაზღვრა ეფუძნება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტების მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე მოიცავს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს. აკრედიტაციისთვის წარდგენილ რაოდენობრივ მაჩვენებელთა დოკუმენტში სტუდენტების მითითებული საერთო რაოდენობა (32 სტუდენტი) ქმნის შესაბამის თანაფარდობას პროგრამაში ჩართულ ადამიანურ რესურსებთან. უნივერსიტეტის მოქმედი დებულების თანახმად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ყოველ 25 სტუდენტზე გამოიყოფა მინიმუმ 1 აკადემიური პერსონალი. საგნის სწავლების მეთოდოლოგიისათვის, ყოველ 15 სტუდენტზე გამოიყოფილია 1 აკადემიური პერსონალი. ეს მონაცემები ქმნის საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელები,

რომლებიც არიან უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები. მათ აქვთ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით. ორივე მათგანი მონაწილეობს პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტაციასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში. გარდა ამისა, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში (მაგალითად, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამა - 2020-2024, ERASMUS+ პროექტი „CISI - სასწავლო გეგმის ინოვაცია სოციალური ინკლუზიისათვის“ - 2020-2023, Educator Reflection for Quality Early Inclusive Education - 2021-2022 და ა.შ.) და აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის ყოველწლიურ კონფერენციებში. უწყვეტ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ისინი უშუალო კოორდინაციას უწევენ პროგრამის ძირითადი კურსების ფუნქციონირებას და მათ შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების ფლობით, რაც ასახულია მათ რეზიუმეებში. ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ პერსონალის უმეტესობა უნივერსიტეტში დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მათი ჩართულობა მოიცავს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის კომპონენტების სემესტრულ განაწილების, კურსებზე დაშვების წინაპირობების, თითოეული კურსისთვის კრედიტების განაწილების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასებას და ამ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარებას პროგრამის ხელმძღვანელებისათვის. მათთან გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული და ასახული იყო პროგრამის შესაბამის დოკუმენტაციაში.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტში მომუშავე შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: პრორექტორები (აკადემიურ და კვლევით სფეროებში), განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეები, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებას ასევე ემსახურებიან უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების სპეციალისტები, ბიბლიოთეკის პერსონალი და აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც ასევე რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიურ და დამხმარე პერსონალს შორის სათანადო უთიერთთანამშრომლობა პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

| პროგრამა 2 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, დონე I)⁹ | | | | |
|---|--|--|--|--|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი მიმართულებით ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით¹⁰ | მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს ¹¹ | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 21 | 0 | 21 | 18 |
| - პროფესორი | 4 | 0 | 4 | 4 |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | 0 | 11 | 11 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 3 | 0 | 3 | 3 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 3 | 0 | 3 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; მასწავლებლის საბაკალავრო-

⁹ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

¹⁰ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹¹ძირითადი

სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები) და პუბლიკაციების სიები;
- პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციები, რეზიუმეები, პუბლიკაციების სიები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები);
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლები;
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიური პერსონალის რეკრუტირების პროცედურები;
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და მაქსიმალური კონტიგენტის ლიმიტების განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია პერსონალის შესახებ;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | × | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | × | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

| პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური) ¹² | | | |
|---|-------------------------|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹³ | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 16 | 13 (იდენტიფიცირებულია პერსონალის სიიდან)/ 3 (სტატუსი უცნობია) | 12 |
| - პროფესორი | 3 | 3-ს აქვს განათლების დოქტორის ხარისხი | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 7-ს აქვს მრავალფეროვანი კვალიფიკაციები სადოქტორო სფეროში | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 2 | 2 ფლობს განათლების დოქტორის და განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს | 2 |
| მოწვეული პერსონალი | 1 | 1 ფლობს განათლების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 3 (სტატუსი უცნობია) | | - |

¹² აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

¹³ ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, უმაღლესი განათლების II დონე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე)

მონაცემთა შეჯამების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზს და ექსპერტთა გასაუბრების შედეგებს, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს, რომელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს.

პროგრამის განმახორციელებელი გუნდი, რომელიც შედგება 30 წევრისაგან, მოიცავს აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებს, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორებს, ასევე ლექტორებს, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი განათლების, ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა სფეროებში. ისინი უზრუნველყოფენ სწავლებას ყველა ძირითადი კომპონენტის - ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ინგლისური ენის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და სხვა დარგების ჩათვლით.

2023-2025 წლების სამაგისტრო ნაშრომების ანალიზისას გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობდა სტუდენტების კვლევით აქტივობებს და ახორციელებდა სხვადასხვა თემატურ კვლევებს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ფსიქოლოგიის და სხვა მიმართულებებით, თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე გამოვლინდა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევაში, რაც აისახება მათ საერთაშორისო სამეცნიერო შედეგებსა და თანამშრომლობით პროექტებში ჩართულობაში, რომელიც მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ თანამედროვე გლობალური კვლევითი პერსპექტივებისა და მოწინავე მეთოდოლოგიური მიდგომების ინტეგრირება სტუდენტთა მენტორობის საქმიანობაში.

ადგილზე გასაუბრების პროცესის დროს, ჯგუფმა ჩაატარა მრავალმხრივი დისკუსიები პროგრამის კოორდინატორებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, რათა შეეფასებინა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას გამოყენებული გამორჩეული მიდგომები და მათი გავლენა კვლევის ხარისხზე.

2023-2025 წლების სამაგისტრო ნაშრომების ანალიზმა და გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები. თანახელმძღვანელობის მოდელის მიზანია თანამშრომლობითი ხელმძღვანელობის პრაქტიკის გაუმჯობესება და სტუდენტთა კვლევის შედეგების საერთო ხარისხის

გაუმჯობესება. ტრადიციული „ერთი ხელმძღვანელის“ მოდელიდან, პროგრამა გადავიდა უფრო მრავალმხრივ და სტრუქტურირებულ აკადემიური მენტორობის მოდელზე. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა თანამშრომლობითი ხელმძღვანელობის მოდელის კონკრეტული მაგალითები. აღსანიშნავია, რომ ამ მიდგომის მაგალითია კვლევა სახელწოდებით „სტუდენტთა მონაწილეობის გაძლიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განათლებაში არაფორმალური სწავლების მიდგომების მეშვეობით“, რომელიც 2024 წელს შეასრულა სტუდენტმა ი. ს - მ. ნაშრომს ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი ნ. ბ. როგორც მთავარი ხელმძღვანელი, ხოლო ასოცირებული პროფესორი ჰ. რ. როგორც თანახელმძღვანელი. ამ შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტმა მიიღო ორმაგი საკონსულტაციო მხარდაჭერა პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისას.

კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების საფუძველზე ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტ-ხელმძღვანელის კონსულტაციის ინტენსივობა თანმიმდევრულად შენარჩუნებულია მთელი კვლევის პროცესის განმავლობაში, სიხშირე და ფორმატი კი მორგებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და პროექტის კონკრეტულ მოთხოვნებზე. ნაშრომის თემატიკის არჩევა ერთობლივად ხდება სტუდენტის და ხელმძღვანელის მიერ. ეს თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ საკვლევი თემატიკა დაკავშირებული იყოს მიმდინარე, აქტუალურ აკადემიურ დისკურსთან, იყოს გონივრულად შერჩეული არსებული რესურსებისა და ვადების გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს დადგენილ აკადემიურ სტანდარტებსა და პროგრამის მიზნებს.

გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტების ხელმძღვანელობისადმი ინდივიდუალური მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტებს იმუშაონ თეზისზე. თანამშრომლობითი ხელმძღვანელობა და სტუდენტ-ხელმძღვანელის ჩართულობა ქმნის კვლევით გარემოს, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის კვლევითი ნაშრომების მოსამზადებლად და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მაგისტრანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და განხორციელებული სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტები (სამაგისტრო ნაშრომის სქემა (2023-2025წწ.); სამაგისტრო ნაშრომები);
- ხელმძღვანელის პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებულ ჟურნალებში / შემოქმედებითი პროექტები / საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიები;
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|--|--|---------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | არ ეხება | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად ანალიზებს შეფასების შედეგებს.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უსდ-ში არსებობს პერსონალის შეფასების, წახალისებისა და განვითარების მექანიზმები.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად უჭერს მხარს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, რაც გულისხმობს როგორც საგანმანათლებლო, ასევე, სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო აქტივობების წახალისებას.

პერსონალის შეფასება ხდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო დატვირთვის შეფასების შიდა სისტემის საფუძველზე, რაც მოიცავს სემესტრულ და წლიურ ინდივიდუალურ სქემებსა და შეფასებებს.

უსდ-ში მოქმედებს „სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“, რომელიც მოიცავს პუბლიკაციებს, კონფერენციებს, პროექტებში მონაწილეობას, სტუდენტებთან კვლევით მუშაობას და ა.შ.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, უსდ-ში დანერგილია ბონუსების სისტემა - პერსონალი წახალისდება კონკრეტული მიღწევების საფუძველზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას როგორც შიდა, ასევე გარე აქტივობების საშუალებით: კონფერენციები, სტატიების გამოქვეყნება, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და ტრენინგები.

საერთაშორისო მობილობა და კავშირები რეალურად გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. წარმატებით ხორციელდება საგანმანათლებლო და კვლევითი გაცვლითი პროგრამები.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ უსდ-ში არსებობს ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები პერსონალის გადამზადების, კონფერენციებში მონაწილეობისა და STEM პროექტებში ჩართულობისათვის.

არსებული რესურსები იხარჯება მიზნობრივად, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

უსდ-ში ყურადღება ექცევა აკადემიური და ადმინისტრაციული სამუშაო დატვირთვის დაბალანსების მექანიზმებს.

გასაუბრების დროს აღინიშნა, პერსონალის შიდა ტრენინგებში მონაწილეობა და STEM მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები. თუმცა, სასურველი იქნებოდა, შეფასების სისტემის დივერსიფიკაცია, პერსონალური მონაცემების წარდგენისა და ინფორმაციის განახლების ფორმის შემუშავება (ზოგიერთ შემთხვევაში, ბოლო წლების მონაცემები მწირია) და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა. ასევე, პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმების გაუმჯობესება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დებულება „კვლევითი პროექტების დაფინანსების“ შესახებ
- დებულება „უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირების“ შესახებ
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და პუბლიკაციების სია
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ფორმის შემუშავება და მისი უახლესი ინფორმაციით განახლება.
- სასურველია, სტუდენტების უკუკავშირის სისტემატური ანალიზი ინტეგრირებული იყოს შეფასების პროცესში, როგორც ხარისხის ინდიკატორი და ტრენინგის დაგეგმვის საფუძველი.
- სასურველია, ფაკულტეტის დონეზე შეფასების შედეგების თემატური ანალიზის განზოგადება, რათა ხელი შეუწყოს საერთო პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და ჯგუფური ტრენინგების დაგეგმვას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------|--|--|---------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის და ადგილზე ვიზიტის შედეგების თანახმად, პროგრამები მხარდაჭერილია ადეკვატური და კარგად მოვლილი მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საჭირო ინფრასტრუქტურას, მათ შორის აღჭურვილ აუდიტორიებს, ლაბორატორიებს (ბუნებისმეტყველების და STEM), ფსიქოლოგიური დახმარების ოფისს და ინტერნეტთან წვდომით უზრუნველყოფილ კომპიუტერულ ოთახებს. ვიზიტის დროს აღინიშნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა, რომელიც კარგია და აქვს გაფართოების აშკარა პერსპექტივა. თვითშეფასების ანგარიში (გვ. 58-59) ადასტურებს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე (EIFL, Elsevier), რაც წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად რესურსს.

თუმცა, ვიზიტის დროს, ასევე გამოავლინა გასაუმჯობესებელი მიმართულებები. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს, საჭიროა სასწავლო რესურსების განახლება, დარგის უახლესი გამოცემებით. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, სასწავლო გარემოში თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა. ეს სულაც არ ნიშნავს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, არამედ პერსონალსა და სტუდენტებში ცნობიერებისა და შესაძლებლობების ამაღლებას, რათა მათ გამოიყენონ უფასო ციფრული ინსტრუმენტები და რესურსები სწავლების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, კერძოდ მატერიალური რესურსების სექცია (გვ. 58-59).
- გარე მიმოხილვის ვიზიტის შემაჯამებელ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა - კარგია გაფართოების პერსპექტივით“ და გაუმჯობესების საჭირო სფეროებად მითითებულია „რესურსების განახლება უფრო ახალი რესურსებით“ და „ტექნოლოგიების ინტეგრაცია“.
- თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ხელმისაწვდომი ელექტრონული მონაცემთა ბაზების სია.
- უნივერსიტეტის ობიექტების, მათ შორის ბიბლიოთეკისა და აუდიტორიების ადგილზე დათვალიერების შედეგად მიღებული დაკვირვებები.

- სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები სასწავლო რესურსებსა და ტექნოლოგიებზე მათი წვდომისა და გამოყენების შესახებ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, რომ კლასტერის ორივე საგანმანათლებლო პროგრამამ დანერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდოლოგიებში. ეს ინიციატივა არ საჭიროებს ახალი IT ინფრასტრუქტურის შექმნას. ამის ნაცვლად, საჭიროა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, რომ მათ გამოიყენონ უფასო ციფრული ინსტრუმენტები, პლატფორმები და რესურსები სწავლების პროცესში, რაც წარმოადგენს თანამედროვე პედაგოგიკისა და კვლევის ფუნდამენტს. რამდენიმე მაგალითი: გამოკითხვა/ვიქტორინა: (მაგ. Kahoot, Mentimeter); თანამშრომლობა/ბრენშტორმინგი: (მაგ. Padlet, Miro); მითითებებისა და ციტირების მართვა (მაგ. Zotero, Mendeley), ხელოვნური ინტელექტი (მაგ. ChatGPT, Gemini, Perplexity)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან | მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან |
|---|--|--|--|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობა ცენტრალიზებულად, უნივერსიტეტის მიერ არის უზრუნველყოფილი (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიების საფუძველზე). პროგრამების ბიუჯეტები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტთან, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული პროგრამების ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტების სტაბილურობას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყარო სწავლის საფასურია. როგორც უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, ბიუჯეტის დაახლოებით 1/3 საერთაშორისო გრანტებიდან მოზიდული თანხებია, რომლებიც იხარჯება მიზნობრივად. უნივერსიტეტმა კვლევის მხარდასაჭერად როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი გრანტებიდან გამოყო დაახლოებით ერთნახევარი მილიონი ლარი. ზოგადად, უნივერსიტეტი ორიენტირებულია საერთაშორისო აქტივობებზე. გასულ წელს უნივერსიტეტმა მოიპოვა ორი Erasmus+ გრანტი, რომლის კოორდინატორიც თავად უნივერსიტეტია.

საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის ხარჯები მოიცავს: აკადემიური პერსონალის მთლიან ხელფასს (სამტატო დატვირთვისა და უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ხელფასის შესაბამისად), სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, სტაჟირების/პრაქტიკის ხარჯებს, სხვადასხვა ხარჯებს, როგორცაა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური გადასახადები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების და სხვა სტუდენტური აქტივობების ხარჯები, კვლევითი და განვითარების საქმიანობისთვის გაწეულ ხარჯები, წიგნადი ფონდისა და ელექტრონული რესურსის შეძენის, სტიპენდიების, ჯილდოების, წახალისების და სხვა ხარჯები.

კვლევისა და განვითარების საქმიანობის მიზნით გაწეული ხარჯები გულისხმობს: კვლევისა და განვითარების საქმიანობის მიზნით გაწეული ხარჯები გულისხმობს: ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალებისა და

გაზეთების შექმნას და იმავე მიზნებთან დაკავშირებული გამოცემისა და ბეჭდვის (არაპირითადი საქმიანობა) ხარჯებს, სესიების, კონფერენციების, კონგრესების, სემინარებისა და სხვა საქმიანი შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს, ინტერნაციონალიზაციის ხარჯებს. სხვა ხარჯები მოიცავს ყველა სახის ხარჯს (მაგალითად, ტრენინგის, მივლინებების, სახარჯი მასალების და სხვა).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურის დონე)

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში პროგრამის შემოსავალი და ხარჯები გათვლილია 1 ჯგუფისათვის, 5 წლიანი სასწავლო პერიოდისთვის. სწავლის საფასური (1 სტუდენტი წელიწადში) - 2250 ლარი. სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობა - 200 სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტში შემოთავაზებული შემოსავალი აღემატება პროგრამის განხორციელების ხარჯებს (იხილეთ ზემოთ კლასტერის შეფასების თხრობითი ნაწილი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში პროგრამის შემოსავალი და ხარჯები გათვლილია 1 ჯგუფისათვის, ერთ წლიანი სასწავლო პერიოდისთვის. სწავლის საფასური (წელიწადში 1 სტუდენტი) - 2250 ლარი. სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობა - 50 სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტში შემოთავაზებული შემოსავალი აღემატება პროგრამის განხორციელების ხარჯებს (იხილეთ ზემოთ კლასტერის შეფასების თხრობითი ნაწილი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2025 წლისათვის
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტები
- დოკუმენტები (ბრძანება/გადაწყვეტილება), რომლებიც ადასტურებს, რომ სტუდენტების/ლექტორების სასწავლო/კვლევითი/პროფესიული განვითარების აქტივობები დაფინანსდა უნივერსიტეტის მიერ. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|--------------------------------------|--|--|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მე-7 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, (მე-6 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|--|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მე-7 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მე-6 დონე) | X | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები

(https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf). საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. პროგრამის შემუშავების პროცესში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად, ასევე ჩართულნი იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები მონათესავე პროგრამებიდან.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესამუშავებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მართავდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ჯგუფის თითოეულმა წევრმა იზრუნა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე. სამუშაო პროცესში განხორციელდა პროგრამების შიდა შეფასება, პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ და გარე შეფასება პარტნიორი ორგანიზაციების/უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყო შიდა და გარე შეფასებებიდან მიღებული უკუკავშირი.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და მასში დანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიულ განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს (<https://tesau.edu.ge/universitetis-strategiuli-ganvitarebis-gegma>), ასევე, განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულ ყველა ელემენტს. ის წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის პროცესის: დაგეგმვა, ორგანიზება და მონიტორინგი, განუყოფელ ნაწილს. სისტემა ფუნქციონირებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში და ეფუძნება ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც გზას უკვლევს უნივერსიტეტს მისი ფუნქციონირებისას.

ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონსულტაციას უწევს აკადემიურ პერსონალს, რათა მათ განახორციელონ საგანმანათლებლო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს პერსონალის ყველა სემენტთან, უზრუნველყოფს ინტენსიურ კონსულტაციებსა და ტრენინგებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის საკითხების ირგვლივ.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, უნივერსიტეტმა მიიღო უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისების გამოყენების დებულება, (<https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>) რათა უზრუნველყოფილიყო დისტანციური/ელექტრონული/ჰიბრიდული სწავლების პროცესისათვის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების პროცესები არ მიმდინარეობდა. უნივერსიტეტი უახლოეს მომავალში გეგმავს დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების პროცესის დანერგვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debuleba10>

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები (https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf)
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის და სტუდენტების მარგინალური ჯგუფის განსაზღვრის მეთოდოლოგია <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და საგამოცდო ცენტრის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესი <https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>
- შრომის ბაზრის ანალიზი
- პროგრამების სწავლის შედეგების რუქა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქები
- საკლასო ოთახში დაკვირვების შედეგები
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები/ანგარიშები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შეფასების წესი და შეფასების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება
- თვითშეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მსგავსი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების სია
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------|--|--|---------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება დებულებებს „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ“.

უნივერსიტეტი პერიოდულად, დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად, ინფორმაციას თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თვითშეფასების ანგარიშის ფორმით. პროგრამებში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ექსპერტების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს და შეაქვს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო 2018 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება #33, 08/08/2018წ.). გარდა ამისა, პროგრამა შეაფასეს ადგილობრივმა ექსპერტებმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (საქართველო) და კავკასიის უნივერსიტეტიდან (საქართველო). საგანმანათლებლო პროგრამა შედარებულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების ზოგადი განათლების სტანდარტების ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების/მიზნობრივი ნიშნულების დოკუმენტთან (ბრძანება [MES 5 24 0000597508 30.05.2024](https://eqe.ge/ka/page/static/1025/ganatileba))(<https://eqe.ge/ka/page/static/1025/ganatileba>).

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო 2016 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება #1, 17/03/2016წ.). გარდა ამისა, პროგრამა შეაფასა ადგილობრივმა ექსპერტმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (საქართველო). საგანმანათლებლო პროგრამა შედარებულია ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტთან [მასწავლებელთა მომზადების დარგობრივი მახასიათებლების განაცხადი \(ბრძანება MES 8 24 0000597510 30.05.2024\)](https://eqe.ge/ka/page/static/1025/ganatileba)(<https://eqe.ge/ka/page/static/1025/ganatileba>).

აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამებში მუდმივად ხორციელდებოდა ცვლილებები. მაგალითად, განხორციელდა სასწავლო გეგმების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების გაუმჯობესება, ახალი და ძველი კურსების შექმნა/მოდულიზაცია, ლიტერატურის განახლება, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება და განვითარება.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. გათვალისწინებულ იქნა ინდუსტრიის პროფესიონალების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების, გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებები პარტნიორი ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი დაწესებულებების ექსპერტების მიერ

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,, მაგისტრატურის დონე)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------|--|--|---------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | ✓ | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,

მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პერიოდულად აკონტროლებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, შესაძლო ცვლილებების რჩევები და დასკვნები. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების ფიზიკური მდგომარეობის, რაოდენობასა და სასწავლო გეგმებთან შესაბამისობას).

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი კითხვარების მეშვეობით ატარებს სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რათა მიიღოს უკუკავშირი ყველა დაინტერესებული მხარისაგან და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. იგი ასევე ანალიზებს საკლასო ოთახში ჩატარებული დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს, ასევე გამოკითხვებს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების შესაფასებლად. იგი ასევე ანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში, დაწესებულება ასევე აფასებს პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტები წარმოადგენენ თავად პროგრამის დადგენილ

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს. ეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი შეფასებაა. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება მოცემულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგის შეფასების პირდაპირი მეთოდი, რაც არ არის რეკომენდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების).

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ შეფასებად გამოიყენოს მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა, რომელიც პირდაპირ ზომავს სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტმა თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა დანერგოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნობრივი ნიშნულების/შედეგების დოკუმენტები უცხოურ და ადგილობრივ ანალოგიურ პროგრამებთან. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა. სია მიუთითებს სამ უცხოურ დაწესებულებას ყოველგვარი ანალიზის გარეშე, თუ რით ჰგავს ან განსხვავდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უცხოური პროგრამებისაგან.

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად შეადაროს საგანმანათლებლო პროგრამები უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს, რათა გამოიყენონ თანამედროვე მოთხოვნები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რჩევებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debuleba10>

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები
([https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality Assurance.pdf](https://tesau.edu.ge/files/uploads/4/9/1/Internal_Evaluation_Mechanisms_for_Quality_Assurance.pdf))
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის და სტუდენტების მარგინალური ჯგუფის განსაზღვრის მეთოდოლოგია <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და გამოცდების ცენტრის დებულება <https://tesau.edu.ge/en/martvis-organoebi/debulebebi>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესი <https://tesau.edu.ge/iuridiuli-cnobari/debulebebi1>
- შრომის ბაზრის ანალიზი
- პროგრამების სწავლის შედეგების რუქა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქები
- საკლასო ოთახში დაკვირვების შედეგები
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები/ანგარიშები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შეფასების წესი და შეფასების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება
- თვითშეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მსგავსი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების სია
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა შიამოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|--------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა შიამოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|--------------------------------------|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა , მე-7 დონე) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| შინაარსი სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|--|---|--|--------------------------------------|---|
| დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მე-7 დონე) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მე-6 დონე) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |